

შპსი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვეურად 4 აბ. ცალკე წესდები კოტი შაურის. დამატებით 7 კპპ. წლიური ხელის მოწერებს ვახუშტის წესდებით ნაწილწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანახუნა კიდევ ნაწილწილად განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაცისის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტი ტექსტის წინ 20 კპ., უკან 15 კ. სამკლავიანო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლებინ სხვაზედა, ორივე ტბილია ძმობილო, შირჩენის ორსვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთი ქვეყანაზედა.“

უზომო მწუხარებაში მყოფი კნენა ნინო გიორგის ასული გელოვანისა, კოსტანტინე და პლატონ ლევანის ძენი გელოვანები მეუღლეებით, ერმალო გოჯაბერიძის ძე გელოვანი და ტიპი (აგრაფენა) გელოვანისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობარ-ნაცნობთ, რომ 22-ს ამა თებერვალს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქმარი, მეორე და მესამეის ძმა, მგობრის ძმისწული და უკანასკნელი ბიძაშვილი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი თ-დი ვარლამ (კუჭიკო) ლევანის ძე გელოვანი, რომელსაც მოასვენებენ თბილისიდან დღე, ხუთშაბათს დღით 26 თებერვალს, ქუთაისის სადგურზე. გამოსვენება სადგურიდან იმავე დღეს ნაშუადღ. 1 საათზე, საკათედრო ტაძარში. და შემდეგ წირვა-პანაშვილისა, ორ საათზე, წაასვენებენ ლენინში ს. სპათაგორს, ხოლო დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოში ახალქალაქის 1-ს მარტს, დღით კვირას. 4-1-78

დეკუსაშ პარლამ გელოვანის
დამკრძალავი კომიტეტი აცხადებს, რომ მიცვალებულის ცხედარი გამოსვენებულ იქნება ქუთაისის სადგურიდან ხუთშაბათს, 26 თებერვალს, ნაშუადღევს 1 საათზე. გადახდილ იქნება მცირე ზანაშვიდი ქუთაისის საკათედრო ტაძართან და შემდეგ პროცესსია გაემართება ლენინში დასაკრძალვად. დეკუსაშებს ვსთხოვთ მობრძანდნ მხუტყვის მრეწველთა საბჭოში დილის თერთმეტ საათზე ნიშნების მისაღებათ.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას
სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის
ვარლამ ლევანის ძის გელოვანის
უღროთ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება ქუთაისის სადგურიდან იქნება დღე, ხუთშაბათს, 12¹/₂ საათზე. 1-1

მძიმე და ხანგრძლივი ავთომყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ელისაბედ სიმონის ასული ვარლამოვისა,
რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი ვაჟშვილები: ანტონი და გრიგოლ ივანეს ძენი და მეუღლე მისი ვეგენი ანტონის ასული ვარლამოვები და ქალიშვილი მართა ივანეს ასული და მეუღლე მისი კოზმა იაკობის ძე სააკოვები. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 26 თებერვალს, ნაშუადღევს 5 საათზე, ივანოვის ქუჩა, ნანეი შვილის სახლი, საფარჩხის სასაფლაოზე. ცალკე ბარათები არ დარიცდება. 1-1 77

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მალაზიას მოუვიდა გასაცემად
ბ. ს. ჯორჯიანიას შემდეგი რუსული წიგნი:
„Критика психологической теории права“
Проф. Л. И. Петрожецкого. ფასი 6 შაური
გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მალაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიანის.
ფასი 60 კპპ.

გაზეთ „ზრომის“ რედაქცია საზოგადოებისა და ხელმძღვრთა საურბადლებათ აცხადებს, რომ სხვადასხვა მიზეზებისა გამო დროებით შეჩერდა როგორც ყოველდღიური, ისე ყოველკვირეული „ზრომის“ გამოცემა.
ახლო მომავალში რედაქცია უსათუოდ განახლებს გაზეთის გამოცემას და ხელისმძღვრლებიც ჩვეულებრივად მიიღებენ.
უფ. 3-2 ზატყვისწყმით „ზრომის“ რედაქცია.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)
მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზოპიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მალაზიაში ქუთაისში.
ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები
ბ. ბ. ბიბინიშვილისა.
1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწოდებით, ანუ შესაფერის გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. ქუთაისის სასწავლებლის განყოფილება.
სწავლების მიიღება კურსების კანცელარიაში (თბილისის ქუჩა).
კურსების ვაჭ. ბ. ბ. ბიბინიშვილი.

ქუთაისის ქალაქის თეატრი
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ კვირას, 1 მარტს,
მალ. ვალიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა დავით კლდიაშვილისა.

1. **უბედურება**
სურათი ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები.
2. პირველად ორიგინალური პიესა კან. ანდრონიას.

სიზმარი კოშკში

1. მოქმედებიანი.
ორიგინალური კომედია აკაკი წერეთლისა

2. **ბუტიკობა**
1. მოქმედებიანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. **ადგილების ფასი სახენფისოა**
ანონსი: მზადდება წარმოდგენად: ორდობს შეფე, იუდა ისკარიოტელი.

ზარსაკეც, 27 იანვარს, 1915 წ. ქალქის თეატრში, ღამით,
მობა აბაშიძის თავჯდომარეობით, ალექსანდრე მანაშაშვილის ახალი დრამატიული პოემა

„ქალი გრძნეული“

შესახებ გაიმართება საუბარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ (ანბანის რიგით): კ. ანდრონიკაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. გაბუნია, გ. გიორგაძე, შ. დლიანი, ია ეკალაძე, ტიტე მარგველაშვილი, გ. ლალიძე, ს. რობაქიძე, დ. უზნაძე, ა. ფალავა. იაკობ ფანცხავა, ილია ჩიქოვანი, ალ. ჯანელიძე, ტ. ჯაფარიძე. საუბრის დაწყებამდე პოემის წაიკითხავს აკაკი ფალავა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
P. S. ყველა დამსწრეს მიეცემა ორი ფურცელი ქალაქი; მათ შორის: მოწოდების და მეორე დამსწრების გამოძახებელი. ამ ბარათებს დასვენების დროს საგანგებო ყუთებში ჩაუწყებენ და საღამოს დასასრულ გამოცხადდება რამდენმა მოიწონა და რამდენმა დაიწუნა პოემა.
ქალნი და ვაჟნი ცალცალკე იძლევენ ხმას.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
ამათა პასხალიძის
აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკი-ფორმა მ. ჯანელიძის მალაზიაში; ბათუმსა და წიათურაში მ. ს. მანუილიძის კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთონ რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

უდიდესი სამცხალური წიგნის მალაზია
კ. ი. ოცხელის და აბს. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, ოფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და აბს. წიგნის მალაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიული, პედაგოგიური, იურდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე ძალიანდრამი 1915 წლის: ჯიბის, კელის, იურდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის მარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდე გვერდით გამარაგულია ცნობილი საბავშვო მალაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სპონსორული საკანცელარო ნივთები.
ქალთა ოცხელისა

ქიმი გაბრიელ იოს. გოკიძის
ელეგიატონისა და სინათლის
პანთონი. შინაგანი ნებრებისა და ვენერიულ ავთომყოფების მიღება დილის 9-12 საათ. საღ. 9-8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქიმი ი. ჩარამიძე ქალაქის საავთომყოფოს ორდინატორი. განახლება ვანის, ვენერიულ და სიფილისისანი ავთომყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12-2 საათ. საღამ. 6-8 საათ. მსამართო: ლევანოვის ქუჩა, ალბერგოვის სახლში. (თ.)

ქილის მინალაროვილი და ტარუხ-მამიძის ნოვა. დროებით ბათუმშიდან გადასვლით ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბებტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავთომყოფების დებულობენ დილის 9-11 და საღამოს 4-6. არჩენენ ავთომყოფობას კიბილბისა და ლრბილბისას. ავთომყოფებელთა ნურ კბილბის: კუჭუტე, ოქროზე და ალუმინზე. ლრბილბის ავთომყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. (თ.)

ქუთაისი, 26 თებერვალი.

იმ დღეს ჩვენ აღვნიშნეთ ცალმხრივობა ჩვენის დაწესებულებებისა, გულგრილობა ინტელიგენციის უმრავლესობისა, უთანხმოება არსებულ ჯგუფებ შორის, კრიმინალულობა სადღესის პრესისა და სხვადასხვა. („საშ.“ № 19).

ჩვენ გვიჩნდა, რომ ვცდებოდეთ, ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, თუ კი ჩვენ მიერ გამოთქმული დებულებანი მართა ჩვენი აზრი იქნება, მაგრამ ვაი ის არის, რომ ყოველ დღიური ცხოვრება, დაკვირვება ყველასი და ყოველისა, —საწუხაროდ,— უფრო აღრმავებს და ადასტურებს ამ ჩვენ აზრს.

დღე დღეს მისდევს, დამე დამეს, გადიან კვირები და თვეები, ცხოვრებისა და ქვეყნის ტრიალი ყოველ ჯამს ათასგვარ საკითხებს გვიყენებს და ჩვენ კი ამ საკითხებს ან ყურს ვუყურებთ, ან სულ შეუშინვლად ვსტოვებთ. აი, ამიტომ ვამბობდით —როდემდის უნდა ვიყოთ მეთქი ასეთ მდგომარეობაში?...

თუ სიტყვას საქმე არ მოჰყავს, თუ მიქმულს გამოვინებ არა ჰყავს, თუ გავგონილი და ნათქვამი არ განხორციელდა, მაშინ რაღა ზედენა ან თქმა და ან თვით წერას!...

მას შემდეგ, როცა ომი დაიწყო, ვინ იცის, რამდენი კარგი აზრი არ გამოითქვა ქართველობაში, რამდენი მოწოდება არ დაიბეჭდა, რამდენი პროექტი არ შემუშავდა, მაგრამ საქმით კი, აბა, რა გაკეთდა?

— ზევრი არაფერი.
თვით ჩვენმა გაზეთმაც აღძრა რამდენიმე შეამდგომლობა მკითხველის წინაშე, მაგრამ დღევანდლამდე ერთი კაცის მეტს ხმა არ ამოუღია (პ. ი. გოკიძე!) ამ უმაღლესი პირველი და აუცილებელი საკითხია აქაღების ყოფა-მდგომარეობის მოწყობის საქმე. მკორე ხაქმე დე-
*) შემოსწირა 25 მ. დამწველთა სასარგალოდ.

დღეს ჩამოასვენებენ ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულის ვარლამ გელოვანის ნეშტს. ქართველებო! უკანასკნელი პატივი ვსცეთ უდროვოდ დაღუპულსა და აწ უკვე მტვრად ქცეულ ადამიანს, რომლის გულიც სცემდა საქართველოს და მის მშრომელ ხალხის უსომო და უხგარო სიყვარულით...

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწვევა ერთი ჯგუფი უღრმეს მწუხარებას აცხადებს საქართველოს უფლებათა დამცველის **ვარლამ გელოვანის** უღრმოთ ვარდაცვალების გამო.

დღეს რამოდ.

ავგუსტოვოს მიღამობში ბრძოლა დაიკავა. სწარმოებს. ლომებისა და კოლნოს გზებზე გერმა ნელების ირიში მოვიგვრეთ. ხორეალეს სამხრეთით ბრძოლის დროს მტერი დიდ ძალას იშველიებს. კარბატებში, სოფ. სტუდენკოსთან, ავსტრიელები იერიშების მოტანას განაგრძობენ. აქ მტერმა მოახერხა ჩვენი მოწინავე თხრილების ხელში ჩაგდება. 22 თებერვალს მტრისგან წართმეული თხრილები და სიმაღლე № 992 უკან დაიბრუნეთ. ტვარკონოსთან და სხალონიკთან ავსტრიელები თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ. კოზიუკოსთან გერმანელებისაგან წართმეული პოზიცია კონტრიერიში დაიბრუნეთ. აქ ზურგიდან შემოვლილი ავსტრიელების ერთი ბათალიონი ტყვეთ წამოვიყვანეთ. უკან დახეულმა მტერმა ნადვარდისა და კოდმეს გზებზე გამაგრებული პოზიციები

დღეს რამოდ. შჩუკანთან და სტავისთან დიდი ბრძოლა. **ოსმალეთის ასპარეზი.** კოროხის მხარეში ჩვენმა ჯარმა სიმაღლე დაიკავა და ოსმალები სამხრეთ დასავლეთისკენ განდევნა. **დარღმელთან.** ჩვენმა ფლოტმა მტრის ბატარეები ჩააშრა ზუნგალაკზე ყუმბარების დაშენით ცეცხლი გაჩნდა. მტრის გემი „ერეგლი“ ჩვენმა ფლოტმა დასძირა. **დასავლეთის ასპარეზი.** პერტისა და ბოსნიურის შუა ფრანგებმა გერმანელების თხრილები აიღეს. ლოტარინგიაში ფრანგები წინ მიიწვივნენ. ვოგეში გერმანელებისაგან დროებით აღებული სიმაგრეები ფრანგებმა უკან დაიბრუნეს.

გამოცემა ხომ კომერციული საქმეც არის! ამა იკითხეთ, რამდენ ათასს ბეჭდავენ და ასაღებენ შახბარათოვები თავის მყარალ წიგნებს? მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენ შრომაც გვეზარება და უთაურებიცა ვართ. აი, აქ არის ნიშნები ჩვენის გულგრილობისა და გადაგვარებისა!... ჩვენში რომ გამოძევლობის საქმე მოეწყოს, მაშინ ჩვენი მწერლებიც დიდი ბეჭდვები და არც მწიგნობრივი დახმარებები. მაპატიონ დასახელებისათვის, მაგრამ განა ისეთ გაჭირვებაში უნდა იყვნენ ვე-ფუშაველა, შ. მღვიმელი, ველოშვილი, ნ. ტაბიძე და სხვანი, როგორც ახლა არიან? განა სირცხვილი არ არის ჩვენთვის, რომ იმით შიმშილითა ვხოცავთ? როცა მოკვდებიან ციდან მზე და მთვარეს ჩამოგასვენებთ, ცოცხლებს კი ყურადღებას არ ვაქცევთ... რა ეწოდება ასეც საქციელს? აი, შექმნილი გამოძევებით ამხანაგობა, დაბეჭდვით მათი თხზულებანი ათი ათას წიგნებით, დიპირავეთ ხალხი, დაზავებთ საქართველოს ყველა კუნთში, დაპყლით ეს წიგნაკები, თქვენც მოიგებთ, მწერლებსაც საშუალებას მისცემთ ადამიანურისა და ღირსეულ ცხოვრებისა და ხალხშიც მოსპობთ მათე წიგნაკებს. ხალხს, ერს ქონება ქონდეს და ვერ მოიხმაროს? ამაზე უკეთესობა კიდევ იქნება? ჩვენ შეგვიძლია ათასობით მოგვიყვანა ასეთი მაგალითები. საქართველოს ბუნების თითოეულ ნაწარმოებს შეგვიძლია ჩვენში მილიონების შექმნა, მაგრამ ჩვენ სწორედ ის გვაკლია, რითაც სხვები სარგებლობენ თვისდა საუბნეიროთ. ჩვენ გვაკლია ინიციატივა, გულწრფელობა, მუშა-ხელი, ერთმანეთის ნდობა, ერთმანეთის ჭკუანა. ყველა ეს კი რას მოასწავებს? მოასწავებს ჩვენს მოუზადებლობას, ყოველთვის სხვის ხელის შემყურებლობას. ეს კი გვაღიქვავებს დიდსა, თუ პატარას. არა! ასეთი ცხოვრება აუტანელიც არის და საუბედუროც მთელის ჩვენი ქვეყნისათვის. ვისაც გული გაქვთ, ვისაც ხასიათი შეგწევთ, ვისაც ფული სალოცავათ არ

გაგიხდიათ შეიკრიბებით ერთად, შეგვეერთო საზოგადოება მტკიცე ურთიერთობასა და ნდობაზე დამყარებული, ამოძრავით ახალდაბად თუ მოხუცი ძალები, განურჩევლად სქესისა და მიმართულებისა, გაუჩინეთ ყველას საქმე და ლუკმაპური, დაანახვეთ ძალა და ძლიერება ერთობისა, მეზობლობისა, სიყვარულისა, თანამშრომლობისა, გათბეთ ვაკე-ვეებული გული მშვიდრისა თქვენის დახმარებით, წახალისეთ სუსტი თქვენის თანაგრძობით, დაშვიდეთ გაბოროტებული თქვენის საინფორმაციო მოპყრობით, მიუღოთ ნიჭსა გზა ფართო, თავისუფლება ღირსებას და გრწამდესთ, რომ ბოლო მოეღება ჩვენს მკონარგობასაც, ჩვენს ბოროტებასაც, ჩვენს ზარამაკობასაც, ჩვენს გადაგვარებასაც, ჩვენს უკიდურეს შენჩეობასაც, ჩვენ ჯგუფობასაც. სიკეთესა და ადამიანურ მოპყრობას ისეთივე ძალა აქვს, როგორც განაუხულონ მშეს, რომლის სხივებიც ნეტარებასა მშენს ვარდაცვა და ვეღვსაც. ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ საერთო ამოძრავება საზოგადოების საქვეყნო, სამო პრაქტიკულ საქმისათვის მოსპობს ზღმეტ სრესასა და შეხლა-შემოხლას ჯგუფთა და წრეებს შორის და დარჩება მხოლოდ იდეური ბრძოლა, ბრძოლა კეწმარტების ძიებისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვეცემა მ. დილიც და სიკეთეც, მხოლოდ ამ შემთხვევაში, გადავრჩებით გადაგვარებასაც და კაცობიანობასაც. ვისაც აქვს ყურნი სმენად, ისმინეთ!..

გრადის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ჩვენი ვეკლის თანაშემწედ პეტროგრაღში და თანაშემწეთა კომისიაში ასრულებდა სხვადასხვა თანამდებობას. პირველ სათათფიროს დროს არა რუსთა გაზეთების წარმომადგენელად იყო პრესის ბიუროში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ავტონომისტების კავშირში, სადაც არჩეული იყო მდივანად. თფილისში გადმოვიდა 1911 წ. და 1912 წ. არჩეულ იქნა მეოთხე სათათფიროს დეპუტატად ქუთაისის გუბერნიის მხრით. სათათფიროში ჩაირიცხა შრომის ჯგუფში. ოსმალეთში, რომ რუსეთს ომი გამოუცხადა, სახელმწიფო სათათფირომ გამოგზავნა კავკასიაში თავის სასანიტარო რაზმის ხელმძღვანელად. ავად გახდა სარიყაშიშის რაიონში 7 თებერვალს, საიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ თფილისში გადმოიყვანეს.

სამიერი სეპეუმი.

პეტროგრაღა. (თავად ერისთავს) მთელის გულით ვიზიარებ გელოვანის მეუღლის გლოვას და მთელი თქვენი ოჯახის საზინდელ მწუხარებას. დმერთსა ვიხივთ, კენიას განკურნებას. დღად დაგვჯავლებთ თუ მის მღვამარეობას გვაცნობებთ. კრუპენსკია.

ვარლამ გელოვანი.

(ბიოგრაფიული ცნობები). ვარლამ გელოვანი დაიბადა სოფ. სპათავოში, ლეჩხუმის მაზრაში, 1878 წელს. მამა მისი იყო თავადი ლევან გოჯასპირის ძე გელოვანი, მილიციის პოდპორუჩიკი, ქართული მწიგნობრობის კარგი მცოდნე, დედა—გრიგოლ შერვაშიძის ქალი, დესპინე. ვარლამმა (ან კუქიკომ, როგორც ახლობლები ეძახდნენ) პირველად სწავლა დაიწყო სოხუმის მთიეთის სასწავლებელში (გორსკაია სკოლა). იქიდან გადავიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც გაათავა 1899 წელს. უმაღლესი განათლება მიიღო პეტრო-

სავლეთ საქართველოში შიმშალის თვიდან აცილება და. მესამე საქმეა სახალხო წიგნების გამოცემლობის მოწყობა. ერთ თათარს უთქვამს: ვისაც მალა აქვს, ფლავი არა აქვს და ვისაც ფლავი აქვს, იმას მალა არა აქვს. ასეა ხელ-მოკლე ქურთაოსტის საქმეც! პირადათ ჩვენ რომ საქირო თანხა გვქონდეს, გამოვიღებდით ამ თანხას, დავსდებდით ფონდათ ამა თუ იმ საქმიანთის და რაკი ფულს დანახავდნენ, დამხმარეცა და მომხმარებელიც მოგვეტანებოდა და საქმეც გაჩაღდებოდა, მაგრამ სწორედ ეს „ფლავი“ არა გვაქვს და ამიტომ ჩვენი სიტყვები სიტყვებათვე რჩება. ჩვენში რომ გული გულობდეს და მარტო ფანტაზიის ხალხი არ ვიყოთ, მარტო ცარილის სიტყვებით არ ვუმას-

პინძლებოდეთ ერთმანეთს, აქამდე საქმე მოგვარებულაც გვექნებოდა, მაგრამ, აი, აქა სჩანს ჩვენი გულ-გრილობა და, თუ გნებავთ, გადაგვარებაც. განა აპარტების საქმე გადადებასა თხოულობს? განა შიმშილის მოთმენა შეიძლება? განა გულ გრილათ უნდა ვუჭურებდეთ ჩვენი ხალხის გონებრივ გარყვნას შახბარათოვებისა და ახაბტელოვ-მიღვიანოვების ფაბრიკაციის, ყოვლად ზნედაცემულ წიგნაკებით?.. რას აკეთებს წერა-კითხვის საზოგადოება? რატომ ყურს არ უგდებს თავის პირდაპირ დანიშნულებას? მეტყვიან ხელ-მოკლეთა ვართ, მწული არა გვაქვს! შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ წიგნების

სასხანო ხალხუნაბა.

მოსხენება აკაკი ფლავისი (წაკითხული სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე). (დასასრული). *) თქვენ მოითხოვთ საშუალების ჩვენებას, სიამოვნებით. მხოლოდ ერთს გკითხავთ? ყოველი დარგის არამც თუ ხელოვანი, უბრალო მოხელეც კი ხომ სწავლობს თავის საგანს. ვარჯიშობს თავის საქმეში და, როდესაც საქირო ძალღონეს მოიკრეფს, და შესაფერისს ცოდნას შეიძენს, მხოლოდ მაშინ შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას. თვით ხელოვანი მუსიკოსი რა იარაღითაც უნდა სარგებლობდეს იგი (როიალი, პიანინო, კიანური, ვიოლონი თუ სხვა...) არამც თუ მოწინავეების დროს, არამც მაშინაც კი, როდესაც უკვე საქმეწერა სახელი აქვს მოხვეჭილი განსაზღვრულ დროს ყოველ-დღე სისტემატურად ვარჯიშობს: თუ მომღერალია სოლფეჯოს მღერის, თუ დამკვრელია გამშებს უკრავს. არც ერთ სფეროში არ გამოდის ადამიანი მოუზადებელი. მხოლოდ ჩვენში, განსაკუთრებით სცენაზე ვხედავთ ამგვარ მოვლენას. როგორც რომ ჩვენ სცენაზე განდებდა სრულიად მოუზადებელი, ახალგაზდა, უსუსური (გამოდლების მხრით) მსახიობი მაშინვე პაპლეთი და ოტელიო უნდა ითამაშოს. სად გაგონილა 17-18 წლის ზეინაი, ან ქეთევან წამებული? მხოლოდ საქართველოში! ნურავინ იტყვის, რომ ნიჭი შეეძლოს ბუნების დათრგუნვა. ყოველივე ნიჭი ექვემდებარება ბუნების კანონებს და ყოველმა არსებამ ანგარიში უნდა გაუწიოს დროს. მხოლოდ გენიოსნი დგანან დროს გარე-

შე. ამგვარად, დასახელებული ფაქტის არ სებობა სრული აბსურდია. აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ საქიროა თანდათანობა. თუ თქვენთან მოდის ახალგაზდა, ნიჭიერი მსახიობი, მისი ნიჭი, სასცენო ტალანტი კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ იგი ყოველივეს შემდეგ იყოს. ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ზედმეტი ტვირთი ავიკიდოთ მას და ამგვარად სამუდამოთ დავასახიროთ. დიხ, ეგ დასახიჩრება, წელში გატება, გასრესა! აუცილებლივ საქიროა სკოლა. მართალია ერთი მაგალითი გავიკეთდდა, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეგ მხოლოდ ჩვენივე დაუდევრობის მიზეზი იყო. ისე სკოლის მოწყობა, როგორც ნეტარსენებელი სკოლა იყო, ყოველდღე შეუწყნარებელია. დაწერილებით იმ სკოლას მე არ ვცნობდი, ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ძალა-უნებურად მაგონდებდა. სასწავლებლის გამგემ პროფესორთა სამკომო დადგინებდა შტაბ-ოფიცერთა ხმებით გაბათილა სწავლების საქმეში. აქაც 2 თუ 3 სპეციალისტის გარდა სკოლას 3 თუ 4 იმდენი არა სპეციალისტი ხელმძღვანელი ყავდა. დამეთანხმეთ, რომ ესეც არა ნორმალური მოვლენაა. მე არ მოვიხივებ ცალკე სკოლის, საკუთარი შენობითა და შტატებით დაარსებას. არა. საკიოხი სულ უბრალოდ შეიძლება გადაიქრას. ყოველ დასს მუდამ სკიოია ახალგაზდა ძალები. ეს ახალგაზდანი თვით წარმოდგენაში, სახელდობ (სახალხო) საჯარო სცენებში ღებულობენ მონაწილეობას. ესენი არიან მომავალი მსახიობნი, სწორედ მაგათ სკიოი ხელმძღვანელობა და სწავლება. სხვა თუ არაინ გეყოლებათ დასის რეჟისორებმა

სკოლა ყურადღება მაგათაც მიაქციონ და კვირაში 2-3 საათი შესწირონ მათთან მაცადინებობას. ეს ფრად მნიშვნელოვანი საკითხია ქართული სცენის მომავლისათვის და ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. „Feci quod potui, faciant meliora potentes—შენ ის გააკეთე, რაც შეგიძლიან და უმეტესი შემძლებელმა“. თავი თავად ეს დებულება მართალია, მაგრამ ვინც ამით სარგებლობს, ისინი ვერ არიან სავსებით მართალნი, რადგან-წეს სწორედ არ ასრულებენ მას ისინი, მხოლოდ იმას სცნობენ შესაძლებლად, რასაც თვითონ აკეთებენ და არა იმას, რის გაცემებაც შეეძლიათ. იმ თეატრს, რომელსაც აქვს ფარდის ჩარჩოზე ზემოდ მოყვანილი წარწერა საზოგადოება ბლომად ესწრება. თეატრიც დგამს ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდება და მისი მასურებელი ყოველივე ამით კმაყოფილი შესცქერაინ სცენას, თან მზეს-უზმირას კვნიტით ერთობიან. მაგრამ ეს თეატრი სახელოვნო დაწესებულებად არ ითვლება. ზევით მოყვანილი თქმულებით თავს იმართლებენ ჩვენი თეატრის დღევანდელი მდგეურნი. გასამართლებელი საბუთი? დრო არა გვაქვს, საშუალება არ შეგვეწვიოს. ეს დებულება საერთოდ მიღებული—ყალბია. დავარდვიოთ იგი ფაქტებით. შარშან 1913/14 წლის სეზონი ქუთაისს არა ჰქონდა. ამგვარად მთელი წელიწადი ქუთაისის დრამატული საზოგადოება თავისუფალი იყო. ისარგებლა ამ დროით? შეადგინა დასი მომავალი სეზონისათვის, შეიმუშავა რეპერტუარი, გაითვალისწინა მუშაობა? არა, არა და არა. ეს ფაქტი იმდენად ცხადია და ნათელი, რომ წინააღმდეგ არა ითქმის რა.

მუდამ სჩივან არა გვაქვს რეპერტუარი. ჩვენ მხოლოდ ერთხელ გვიხდებდა ამა თუ იმ პიესის თამაში, ამა თუ იმ როლის შესრულებათ. ორივე დებულება მართალი არ არის. აქ ის არის მართალი, რომ ქართველი მსახიობისთვის, ქართული თეატრისათვის ყოველი წარმოდგენა მუდამ ახალია. იანგარიშეთ რამდენჯერ წარმოდგენილია ჩვენს სცენაზე „ალაბატი“, „სამშობლო“, „პატარა კახი“, „ნორა“, „ურთიელ-აკოსტა“ და სხვა... ზოგი 5-6 ჯერ, ზოგი 10 ჯერ და ზოგიც 20-25 ჯერაც. რამდენჯერ უთამაშნია ერთსა და იმავე მსახიობს ერთი და იგივე როლი? რამდენჯერმე, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ყოველი როლი ახალია ყველამ ჩვენი მსახიობისთვის. რათ ხდება ასე? იმიტომ რომ თავდაპირველად არავინ ამზადებს პიესას თუ როლს ჯეროვანად. ჩვენი მსახიობი და თეატრი მხოლოდ ერთად ერთი მორიგი წარმოდგენისათვის შრომობს. ჩვენი სასცენო ხელოვნება რომ სასურველ კალაპორტში იდგეს, ეს მოვლენა თავიდან აცილებული იქნებოდა დღეს. ბატონებო, აუცილებელია მსცნიერული მათ შესწავლა პიესისა და ხელოვნური განხორციელება მისი. მხოლოდ მაშინ წარმოდგენს ის ღირებულებას, მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ სასცენო ხელოვნება, მხოლოდ ამ გზით შეიქმნება რეპერტუარი. ეს გზა, გარდა იმისა, რომ მართებულია, უფრო იოლი, მაგრამ სერიოზული და უფრო იაფია. თქვენ რომ სხვადასხვა სეზონში ერთსა და იმავე პიესისთვის ფულსა და შრომას ხარჯავთ, ის რომ ერთდროულად, პიესის პირველად დადგმის დროს დაბარჯოთ—გვექნებათ ქეწმარტი სასცენო წარმოები და პიესაც სარეპერტუარო გა-

ხდება, ე. ი. მისი რამდენჯერმე წარმოდგენა მიმდინარე სეზონსა და შემდეგ წლებშიაც უზრუნველყოფილი იქნება. განხორციელება ამისა შეიძლება მაშინ, როდესაც მთიეთი მუშაობის ძირიანად შესცვლება. შექმნა წარმოდგენისა იქნება ისეთივე სერიოზული საქმე, როგორც დაწერა სასცენო ნაწარმოებისა. ხომ არც ერთ მწერალს 2-3 დღეში არ დაუწერია თავისი პიესა. წერას აქ ვგულისხმობ, როგორც შექმნას, თორემ ქაღალდზე გადადება რამდენიმე თვის, ანუ წლის ნაზარისა ზოგჯერ ერთ დღეშიც შეიძლება, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ავტორს ერთ დღეში დაეწეროს პიესა. თუ შექმნილი წილობით ქმნიდა თავის დრამებს—ჩვენ რა უფლება გვაქვს 2-3 დღეში შევხანხლოთ იგივე ნაწარმოები და საჯაროთ გამოვიტანათ. პიესის მომზადება მეცნიერულს ნიადგზე უნდა დაყენიოთ და შექმნათ მართლი ხელოვნური ნაწარმოები, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა ქეწმარტი ხელოვანი. ჩვენი თეატრი იმ დონეზე უნდა იდგეს, რომ მის წარმოდგენებს ესწრებოდენ არამც თუ ნიჭილი ქართული საზოგადოების, არამც ყველა მცოდნე ქართული ენისა და ზოგჯერ არა მცოდნეც. ჩვენ შეგვიძლიან ამას მივალწიოთ, ოლონდ ვიწმობთ ეს აზრი და ვეცადოთ მის განხორციელებას. გზა—არის სკოლა. სკოლა მკიდროდ დაკვეშირებული და თეატრთანვე დაარსებული. ეს სკოლა მოგვემსახუროს, სპეციალურ ცოდნის პატრონ ხალხს. უმაკითოდ საქმეს არ ეწვეულება. დროა პალიტიკებს თავი დავაწე-

*) იხ. „სამშ.“ № 19 და 20.

